



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 168

2013 წლის 29 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბახტევში მცხოვრები ლიანა მინდიაშვილის სახლის უკან მდებარე ჩამოშლილი კლდოვანი გრუნტის მოჭრის და გაზიდვის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2013 წლის 18 ნოემბერს შემოსული სოფელ ნაბახტევში მცხოვრები მოქალაქე ლიანა მინდიაშვილის N5502 განცხადების, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 28 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 28 ნოემბრის N1045 ბრძანების შესაბამისად სოფელ ნაბახტევში მცხოვრები მოქალაქე ლიანა მინდიაშვილის სახლის უკან მდებარე ჩამოშლილი კლდოვანი გრუნტის მოჭრის და გაზიდვის სამუშაოების ჩატარება აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს სოფელ ნაბახტევში მცხოვრები მოქალაქე ლიანა მინდიაშვილის სახლის უკან მდებარე ჩამოშლილი კლდოვანი გრუნტის მოჭრის და გაზიდვის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

